



**Economic Policy Research Center**

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

შინაურ ცხოველთა სავალდებულო  
ილენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მისი  
შესრულების მდგომარეობა საქართველოში

თბილისი  
2017



GEORGIA

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა  
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი

ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY  
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

პროექტი ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაციის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) . ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

## სისტემის შესახებ

შინაური ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საკანონმდებლო დონეზე სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის. გარდა ამისა, ევროკავშირი ითხოვს რომ მსგავსი სისტემა დანერგილი ჰქონდეს ნებისმიერ მესამე ქვეყანას, რომელსაც სურვილი აქვს ივაჭროს ევროკავშირთან ცოცხალი ცხოველებითა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციით. მსგავსი მოთხოვნა შეეხება საქართველოსაც, როგორც ევროკავშირთან DCFTA შეთანხმების მხარეს.

როგორც ცნობილია, ასოცირების შეთანხმებით და DCFTA-ით საქართველოს აღებული აქვს საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულება. კერძოდ, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და 2030 წლამდე უნდა დასრულდეს ევრო დირექტივების და მათი მოთხოვნების ქართულ კანონმდებლობაში ასახვის პროცესი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურის, ასევე განვითარებული პირველადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რამდენიმე დირექტივას გავლენის ფართო არეალი გააჩნია და პირდაპირ ზეგავლენას ახდენს დიდი რაოდენობით მწარმოებელზე და შესაბამისად, მომხმარებელზე. 297 ათასზე მეტ შინამეურნეობას ჰყავს ერთი ისეთი შინაური ცხოველი მაინც (ძროხა, კამეჩი, ღორი, თხა, ცხვარი), რომელზეც ვრცელდება აღნიშნული ვალდებულება.

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია არის ცხოველთა ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და შესაბამისად, ის სავალდებულოა ყველა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება და დღეის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის სექტორში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს.

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას გავლენის და მოქმედების რამდენიმე არეალი გააჩნია. იგი აუცილებელია სურსათის უვნებლობის სისტემის სანდოობისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად, ცხოველური წარმოშობის პროდუქციის მიმართ მომხმარებელთა ნდობის შესანარჩუნებლად და მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად და სხვა. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ცხოველთა დაავადებების მონიტორინგია. ერთი ინდივიდუალური ცხოველის დაავადების შესახებ ინფორმაციის ფლობა, ხელს შეუშლის სხვა ცხოველებში დაავადების გავრცელებას და ამცირებს ბაზარზე დაავადებული ცხოველური პროდუქციის მოხვედრას. უფრო დეტალურად, სისტემა უზრუნველყოფს:

- ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივ კონტროლს;
- დაავადებების პრევენციას და კონტროლს;
- ცხოველთა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიკვლევადობას. კონტროლი უნდა განხორციელდეს, როგორც წარმოების, ისე, გადამუშავებისა და დისტრიბუციის პროცესში და კვების მთელ ჯაჭვში დანერგილი უნდა იყოს მიკვლევადობის პრინციპი;
- ეტიკეტირება და გამჭვირვალობა ხორციით ვაჭრობისას;
- ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას;

- გამოყენებული ვეტ-პრეპარატების აღრიცხვას;
- სანაშენე მეცხოველეობის განვითარებას.

## საკანონმდებლო რეგულირება

*Council Regulation (EC) No 21/2004, Regulation (EC) No 1782/2003, Directives 92/102/EEC and 64/432/EEC - წვრილფეხა საქონლის (ცხვრებისა და თხების) იდენტიფიკაცია რეგისტრაციის სისტემა და Regulation (EC) No 1760/2000, Regulation (EC) No 820/97 - მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების და საქონლის ხორცისა და მისი პროდუქტების ეტიკეტირების წესები.*

აღამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ზოგადი პრინციპები მოცემულია „სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“, ხოლო უშუალოდ დირექტივების მოთხოვნები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით, 2014 წლის 31 დეკემბრის N 764 დადგენილება „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ და 2015 წლის 27 მაისის N228 დადგენილება „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“. ორივე დირექტივა ძალაშია გარკვეული გამონაკლისებით.

2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება ადგენს „მსხვილფეხა საქონლის რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის წესს, ასევე მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის, მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოების წესს, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების პირობებსა და შემზღუდავ ღონისძიებებს. ხოლო 2015 წლის 27 მაისის დადგენილება შეეხება წვრილფეხა საქონელს.

დადგენილებები არეგულირებს როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციის (მათ შორის იმპორტირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია), რეგისტრაციის და მათი სადგომების (მათ შორის დროებითი სადგომების) რეგისტრაციის წესებს, პირობებს, მოთხოვნებს და შემზღუდავ ღონისძიებებს.

საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის მიზნებია:

- საქონლის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და აღრიცხვიანობის რეგულირება;
- საქონლის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ, სრული ინფორმაციის ფლობა და ინდივიდუალური მიკვლევადობა;
- საქონლის ჯანმრთელობის დაცვა, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვა და ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და მომხმარებლისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდება, ცხოველური პროდუქტის წარმოშობისა და უვნებლობის შესახებ;

- ქვეყნის შიგნით, საქონლის გადაადგილებასა და ექსპორტ-იმპორტზე ვეტერინარული კონტროლის განხორციელება;
- ეტიკეტირების უზრუნველყოფა ხორციტ ვაჭრობისას;
- გამჭირვალობისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფა ცხოველური წარმოშობის სურსათისა და არასასურსათო დანიშნულების ცხოველური პროდუქტით ვაჭრობისას;
- მეცხოველეობაში სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესება-სრულყოფა.

მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელემენტებია: ნიშანდება, მონაცემთა ელექტრონული ბაზა, მსხვილფეხა საქონლის პასპორტიზაცია და თითოეული სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია და სადგომის/დროებითი სადგომის წიგნაკის წარმოება.

ხოლო წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელემენტებია: ნიშანდება, თითოეული სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია და სადგომის წიგნაკის წარმოება, გადაადგილების დოკუმენტის წარმოება და მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოება.

სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელმაც ყოველწლიურად უნდა განახორციელოს საქონლის სადგომის ან დროებითი სადგომის საერთო რაოდენობის არანაკლებ 1% და წვრილფეხა საქონლის საერთო რაოდენობის არანაკლებ 1.5%-ის სახელმწიფო კონტროლი და სადგომში ან დროებით სადგომში არსებული ყველა მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია.

დადგენილებებით განსაზღვრულია, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2018 წლის 1 იანვრამდე უნდა განახორციელოს მსხვილფეხა რქოსანი, ასევე წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მათი სადგომის (მათ შორის დროებითი სადგომის) რეგისტრაცია.

დადგენილებებით განსაზღვრულია როგორც საქონლის მფლობელის ვალდებულებები, ასევე სასაკლავოს მფლობელის ვალდებულებები. 2018 წლის 1 იანვრიდან როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის მფლობელი ვალდებულია სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიმართოს საქონლის იდენტიფიკაციისათვის, მათ შორის ახლად დაბადებული საქონლის იდენტიფიცირებისთვის (დაბადებიდან 7 დღის ვადაში მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში და დაბადებიდან 4 თვის ვადაში წვრილფეხა საქონლის შემთხვევაში). წვრილფეხა საქონლის გაადაადგილების შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია აწარმოოს გადაადგილების დოკუმენტი (ასევე 2018 წლის 1 იანვრიდან). 2018 წლის 1 იანვრიდან აკრძალულია არაიდენტიფიცირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის დაკვლა. საქონლის სეზონური საძოვრების იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის ვალდებულება ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ნახირის შემთხვევაში 2020 წლის 1 იანვრიდან.

რაც შეეხება იმპორტს, მფლობელი ვალდებულია სააგენტოს რეგისტრაციისთვის მიმართოს იმპორტირებიდან არაუგვიანეს 7 დღისა მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში და არაუმეტეს 14 დღისა წვრილფეხა საქონლის შემთხვევაში.

თუ მფლობელი ვერ ამტკიცებს მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაციას და მასთან დაკავშირებულ მიკვლევადობას, 2018 წლის 1 იანვრიდან, სააგენტოს შეუძლია, დაავადების გავრცელების რისკის, საქონლის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების საფუძველზე, გადაწყვიტოს საქონლის განადგურება.

Council Directive 2008/71/EC - ადგენს ღორების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს - დამტკიცებულია 2016

წლის 13 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №548-ით „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“. ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან. ხოლო მფლობელის ვალდებულება ღორის გადაადგილებაზე ნებართვის აღებაზე და სურსათის ეროვნული სააგენტოსადმი მინიჭებული უფლება დაავადების გავრცელების რისკის თავიდან ასაცილებლად ღორის განადგურებაზე (თუ მფლობელი ვერ ამტკიცებს ღორის იდენტიფიკაციას და მასთან დაკავშირებულ მიკვლევადობას) ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

ღორის მფლობელებმა სააგენტოს უნდა მიმართონ სადგომის რეგისტრაციისთვის, ხოლო ღორის რეგისტრაციისთვის სანამ ღორი დატოვებს სადგომს. ასევე უნდა აწარმოონ გადაადგილების დოკუმენტი როგორც ღორის, ასევე კოლტის გადაადგილების შესაბამისად. ხოლო იმპორტის შემთხვევაში სააგენტოს უნდა მიმართონ იმპორტირებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

დირექტივის შესაბამისად, ღორების მფლობელებმა უნდა მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული ღორების რეგისტრაცია. მფლობელებმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, ხოლო ვაჭრობით დაკავებულმა პირებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ყველა გარიგების შესახებ. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს წვდომა ამ ჩანაწერებთან.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიკვლევადობა, უნდა განხორციელდეს ყველა ღორის იდენტიფიცირება, სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებით. რეგისტრაცია სავალდებულოა იმპორტირებული ღორებისთვისაც.

ღორების რეესტრი უნდა აწარმოოს კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ. არსებობს გამონაკლისი, ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც მხოლოდ ერთი ღორი ჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის, მათთვის სავალდებულო არ არის რეგისტრაციის გავლა.

ღორის იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის შემადგენელი ელემენტებია: ნიშანდება, თითოეული სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია და სადგომის წიგნაკის წარმოება, გადაადგილების დოკუმენტის წარმოება და მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოება.

## სისტემის შემადგენელი ელემენტები

- საყურე ნიშანი. იდენტიფიკაცია უნდა განხორციელდეს ცხოველთა აღრიცხვიანობის საერთაშორისო კომიტეტის (ICAR) მიერ სერტიფიცირებული საყურე ნიშნით, რომელშიც შეიტანება შესაბამისი ინფორმაცია;
- მსხვილფეხა საქონლის პასპორტი, რომელიც ერთის მხრივ, წარმოადგენს ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთს და მეორეს მხრივ, არის ცხოველის გადაადგილების დოკუმენტი;
- მონაცემთა ელექტრონული ბაზა, სადაც აღრიცხული უნდა იყოს ყველა ცხოველი. მონაცემთა ელექტრონული ბაზა მოახდენს არა მარტო ცხოველების, არამედ სადგომების, მფლობელების, დაავადებების და დაავადებების გავრცელების არელების იდენტიფიცირებასაც. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება რამდენიმე სხვადასხვა რეგისტრის არსებობა: ცხოველების, სადგომების,

ვეტერინარების, საძოვრების, დაავადებების და ამათ გავრცელების არეალების და სხვა.

- სადგომების რეგისტრაცია და სადგომის წიგნაკი, რომელიც აღრიცხავს ცხოველისთვის განკუთვნილი ყველა სადგომს, მათ შორის დროებითსაც.

## არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებით 297.4 ათას მეურნეობას ჰყავს პირუტყვი (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ცხვარი და თხა), რაც მთლიანი მეურნეობების 46%-ზე მეტ შეადგენს. რაც შეეხება დღეის მდგომარეობით იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირუტყვების რაოდენობას, ის მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის რაოდენობა (ათასი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
msxvilfexa rqosani pirutyvi	1049,4	1087,6	1128,8	1229,7	1278,0	1325,5
Rori	110,1	105,1	204,3	191,2	204,8	197,7
cxvari da Txa	653,9	630,4	742,6	856,8	919,6	891,4

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან სჩანს, 2015 წლის ბოლოსთვის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირუტყვის მთლიანი რაოდენობა შეადგენდა 2.4 მილიონზე მეტს.

2012 წლის აგვისტოდან საქართველოში დაიწყო და დღემდე ყოველწლიურად გრძელდება მსხვილფეხა საქონლის მასიური იდენტიფიკაცია-ნიშანდების ღონისძიება. 2012-2015 წლებში იდენტიფიცირებული იქნა 2 მილიონამდე სული მსხვილფეხა საქონელი. 2015 წლიდან დაიწყო წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და ჯამში იდენტიფიცირებულია 150 000-ზე მეტი საქონელი. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს პერსონალის ტრენინგს, საველე სამუშაოებს. შექმნილია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა სადაც მთლიანობაში დარეგისტრირებულია 1 მილიონზე მეტი საქონელი. როგორც უკვე ითქვა, საქონლის რეგისტრაცია ახდენს არა მხოლოდ მფლობელის, არამედ იმ პირთა იდენტიფიცირებას, ვისაც დროებით მიბარებული ჰყავს საქონელი (მწყემსი). ასევე ხდება სადგომის, ვაქცინაციების და საქონლის მოძრაობის იდენტიფიცირებაც. ზემოთ მოყვანილი დადგენილებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, სურსათის ეროვნული სააგენტოს სამომავლო გეგმები შემდეგია:

- 2016-2017 - მსხვილფეხას ნამატის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, წვრილფეხას მასიური იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია
- 2018 - იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია მფლობელის განაცხადის საფუძველზე
- 2019 - სეზონური საძოვრების რეგისტრაცია

- 2020 - ნახირის რეგისტრაცია.

## **საერთაშორისო გამოცდილება**

1951 წელს შეიქმნა ცხოველთა რეგისტრაციის საერთაშორისო კომიტეტი (ICAR), რომელიც დღეის მდგომარეობით 59 ქვეყნის 117 წარმომადგენელს აერთიანებს. ორგანიზაციის შექმნის თავდაპირველი მიზანი იყო რძის შესახებ ინფორმაციის გაცვლა და ჰარმონიზაცია, ხოლო მოგვიანებით ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო ცხოველთა იდენტიფიცირება-რეგისტრაციის მიმართულებით. ორგანიზაცია პერიოდულად აქვეყნებს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სახელმძღვანელოებს.

ერთიანი ევროპული ბაზრის ჩამოყალიბებამ და მესამე ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მასშტაბების და საზღვრების ზრდამ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის წინაშე ახალი მოთხოვნები დააყენა. 1992 წელს გამოიცა პირველი ევრო დირექტივა.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სისტემის გამართულად მუშაობის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია ცხოველების მფლობელების მოტივირება, რომ მათ მოახდინონ ცხოველის დაბადების, ყიდვის, გაყიდვის თუ გადაადგილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, რაც გარკვეულ რესურსებთანაა დაკავშირებული. იგულისხმება როგორც დრო, ასევე ფინანსური რესურსები. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ამბობს, რომ რეგისტრაციის პროცესი ტვირთად დააწვა მცირე ზომის ფერმერებს, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

ასევე მნიშვნელოვანია სისტემის ჩამოყალიბების და შენახვის ღირებულება. მაგალითად, ახალი ზელანდიის მაგალითი აჩვენებს, რომ სისტემის ღირებულება ერთ სულ ცხოველზე წელიწადში 1 დოლარს შეადგენს. ხოლო რაც შეეხება საყურე ნიშანს, ახალ ზელანდიაში მისი ღირებულება 2-დან 3-დოლარამდე მერყეობს. რუმინეთში პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე (2004-2006) სამუშაოები მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და საშუალო ხარჯმა ერთ სულ ცხოველზე 0.96 ევრო შეადგინა.

სერბეთში სისტემის დანერგვა 2003 წელს დაიწყო და მართალია დღეის მდგომარეობით სისტემა მუშაობს, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც პირველ რიგში უკავშირდება მფლობელების მხრიდან რეგისტრაციას. 2003 წლიდან 2010 წლამდე, 7 წლის განმავლობაში სერბეთში ევროკავშირის დახმარებით 3 ეტაპიანი რამდენიმე მილიონიანი პროექტი განხორციელდა, რომელმაც დახმარება გაუწია სერბეთის მთავრობას.

ლატვიაში სისტემის შექმნაზე მუშაობა 1998 წელს დაიწყო და მხოლოდ 2010 წელს იქნა მონაცემთა ბაზა აღიარებული როგორც სრულყოფილი და ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისი.

## **რეკომენდაციები**



## ფინანსური უზრუნველყოფა და ინსტიტუციური ჩარჩო

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინსტიტუციურ გარემოზე და ადეკვატურ ფინანსურ მხარდაჭერაზე. ბევრი ქვეყნის მაგალითი ცხადჰყოფს, რომ სისტემა საკმაოდ ძვირია და მთავრობებს დიდი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის დახარჯვა უწევთ ამ მიმართულებით. ამის ილუსტრირებისთვის, ლატვიის, რუმინეთის, სერბეთის და ახალი ზელანდიის მაგალითიც კმარა.

სისტემის წარმატება არ გამოიხატება მხოლოდ რეგისტრირებული ცხოველების რაოდენობაში, რადგან საკმაოდ მნიშვნელოვანია რეგისტრირებული ცხოველების მოძრაობის კონტროლი, დაკვლა, გარდაცვალება ან ექსპორტ-იმპორტი. გარდა ამისა, სისტემას სჭირდება რამდენიმე მონაწილის (პირველ რიგში სურსათის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახური, სასაკლაოები, ფერმერთა ორგანიზაციები) საკმაოდ კოორდინირებული მუშაობა. დიდი როლი ეკისრება საველე სამუშაოებს, მასში ვეტერინარების ჩართულობას და ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობას. ასევე მნიშვნელოვანია გამართული მონაცემთა ბაზის არსებობა.

## ტრენინგი

სისტემის გამართულად მუშაობისთვის, საჭირო იქნება ყველა მონაწილის აქტიური ტრენინგი. იგულისხმება როგორც საველე სამუშაოებში ჩართული პირები, ასევე ვეტერინარები სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები, ასევე ფერმერული ორგანიზაციები (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები), რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყვნენ ცხოველების მფლობელებთან კომუნიკაციაში. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, პერსონალის სასწავლო მივლინებებში გაგზავნა, რათა გაეცნონ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას.

## ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა

დღეის მდგომარეობით, იდენტიფიკაცია რეგისტრაცია საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით ხორციელდება, მაგრამ, როგორც დაგეგმილია, 2018 წლიდან რეგისტრაცია მფლობელის განცხადების საფუძველზე უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანი იქნება იმ ეტაპზე გადასვლა, რადგან მფლობელები და მწყემსები ვალდებული იქნებიან აწარმოონ ჩანაწერები ცხოველის დაბადების, გადაადგილების, დაავადებების, ჩატარებული ვაქცინაციების, გასხვისების თუ გარდაცვალების დროს. იმ ქვეყნებში, სადაც სისტემა უკვე მუშაობს, საქონლის მფლობელებს კომპიუტერების ანდ ტაბლეთების მეშვეობით შეჰყავთ მონაცემები სისტემაში. დროსთან ერთად, ეს ყველაფერი ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს მოითხოვს, რაც ქართველი ფერმერებისთვის რთულად განსახორციელებელი იქნება. ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნება ფერმერებამდე ყველა იმ სარგებლის მიტანა, რაც სისტემას მოაქვს. მაგალითად, ის რომ სისტემა გარკვეულ გარანტიებს აძლევს ფერმერებს, რომ მათ ექნებათ ცხოველის პასპორტი, სადაც

აღრიცხული ექნებათ ყველა ის ქმედება, რაც ცხოველის მოვლა-შენახვას უკავშირდება. ასევე, ისინი დაცული იქნებიან ცხოველთა დაავადების გავრცელების რისკისგან. მართალია, მოკლე პერიოდში ფულად სარგებელს ვერ მიიღებენ, მაგრამ დროის ხანგრძლივადიან პერიოდში სისტემის გამართული მუშაობა უზრუნველყოფს ცხოველური პროდუქტების ბაზარზე წვდომას.

საინფორმაციო კამპანია

იქედან გამომდინარე, რომ იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას დაქვემდებარებული ცხოველების მფლობელთა რაოდენობა დიდია, იმისთვის რომ ყველა მფლობელი დაინტერესებული იყოს სისტემაში მონაწილეობით, საჭირო იქნება აქტიური სარეკლამო კამპანია, ყველა შესაძლო სარეკლამო საშუალებით. იგულისხმება, საინფორმაციო ბროშურების ბეჭდვა, რეგიონებში „ბილბორდების“ განთავსება, სატელევიზიო და რადიოს მეშვეობით რეკლამების განთავსება.